გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 136

2020 წლის 9 ოქტომბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, ძმები რომელაშვილების ქუჩა №97-ის მიმდებარედ „ხელოვნური უსწორმასწორობის“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქალაქ გორში, ძმები რომელაშვილების ქუჩა №97-ში მხოვრები გიორგი გვერწითელის განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ აღნიშნულ მისამართზე ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა სტუდია და საჭიროა ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობის დაყენება. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეისწავლა მითითებულ მისამართზე არსებული მდგომარეობა. საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ გორში, ძმები რომელაშვილების ქუჩა №97-ის მიმდებარედ, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა“:

„ხელოვნური უსწორმასწორობა“ უნდა დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“; ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, ძმები რომელაშვილების ქუჩა №97-ის მიმდებარედ, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე